სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 სექტემბერი, 2024 წ.

ბრძანება № 01-02/171

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ,,ბსუ-ს საარჩევნო დებულების დამტკიცების შესახებ'' აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 იანვრის 06-01/09 გადაწყვეტილების მე-2 და მე-6 მუხლების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის დიანა ახვლედიანის 2024 წლის 17 სექტემბრის N1148530 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არჩევნები უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრების დარჩენილი ვადით (2022 წლის 01-02 ნოემბერში არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს უფებამოსილების ვადით 2026 წლის 14 ნოემბრამდე) შემდეგი ფაკულტეტებიდან:
   ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 სტუდენტი;
   ბ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - 2 სტუდენტი;
   გ) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 სტუდენტი;
   დ) ტურიზმის ფაკულტეტი - 1 სტუდენტი.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩატარდეს 2024 წლის 16 ოქტომბერს, ხოლო იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და ტურიზმის ფაკულტეტზე 2024 წლის 17 ოქტომბერს (არჩევნები -კენჭისყრა იწყება 10:00 საათზე და მთავრდება 17:00 საათზე).
3. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებში მონაწილე კანდიდატებმა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ №32/35, ოთახი N14) 2024 წლის 04 ოქტომბრიდან – 2024 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა,10:00 საათიდან 16:00 საათამდე უნდა წარადგინონ:
   ა) განცხადება;
   ა) პირადობის მოწმობის ასლი;
   გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ.

4. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებითა და საარჩევნო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.
5. ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს დაევალოთ არჩევნებისთვის შესაბამისი ოთახების გამოყოფა და ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში 2024 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებს, ბსუ-ს საარჩევნო კომისიას, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და განთავსდეს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებსა და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი

მ. ხალვაში